

**რედუქციის ალგორითმი მონაცემთა ბაზების მოვლის რეალიზაციი  
სისრულის უზრუნველსაყოფაზე**

ა. კობიაშვილი, ე. გვარამია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

შემოთხავაზეულია ალგორითმი, რომელიც უზრუნველყოფს რელაციური აღრიცხვის ნებისმიერი გამოსახულების დაყვანას რელაციური ალგებრის სემანტიკურად ეჭივალენტურ გამოსახულებამდე. წარმოდგენილია მოცემული ალგორითმის საილუსტრაციო მაგალითი. ნაჩვენებია ამ ალგორითმის უპირატესობა.

**საკვანძო სიტყვები:** მონაცემთა ბაზა, რელაციური აღრიცხვა, რელაციური ალგებრა, რელაციური სისრულე, კვანტორი.

**1. შესავალი**

რეალციური მოდელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის – მანიპულაციური ნაწილის – მნიშვნელოვანი კომპონენტებია რელაციური აღრიცხვა და რელაციური ალგებრა. ისინი ფუნდამენტურად ეკვივალენტურია [1]. ერთადერთი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რელაციური ალგებრა მოიცავს რელაციური დამოკიდებულების აგებისათვის აუცილებელ ოპერაციებს, ხოლო რელაციური აღრიცხვა უბრალოდ განსაზღვრავს სასურველ დამოკიდებულებებს.

**2. ძორითადი ნაწილი**

იმისათვის, რომ რელაციური აღრიცხვა გახდეს რელაციური ალგებრის საესხით ეკვივალენტური, საჭიროა შეიქმნას ალგორითმი, რომლის მიხედვითაც რელაციური აღრიცხვის ნებისმიერი გამოსახულება შეიძლება დაყვანილ იქნას მის სემანტიკურად ეკვივალენტურ ალგებრულ გამოსახულებამდე. აღნიშნული ალგორითმი განვიხილოთ კონკრეტული მაგალითის მეშვეობით.

S	S#	SNAME	STATUS	CITY	SPJ	S#	P#	J#	QTY
S1	Smith	20	London			S1	P1	J1	200
S2	Jones	10	Paris			S1	P1	J4	700
S3	Blake	30	Paris			S2	P3	J1	400
S4	Clark	20	London			S2	P3	J2	200
S5	Adams	30	Athens			S2	P3	J3	200
						S2	P3	J4	500
						S2	P3	J5	600
P	P#	PNAME	COLOR	WEIGHT	CITY	S2	P3	J7	800
P1	Nut	Red	12	London	S2	P1	J7	800	
P2	Bolt	Green	17	Paris	S2	P5	J2	100	
P3	Screw	Blue	17	Rome	S3	P3	J1	200	
P4	Screw	Red	14	London	S3	P4	J2	500	
P5	Cam	Blue	12	Paris	S4	P6	J3	300	
P6	Cog	Red	19	London	S4	P6	J7	300	
					S5	P2	J2	200	
					S5	P2	J4	100	
					S5	P5	J5	500	
J	J#	JNAME		CITY		S5	P5	J7	100
J1	Sorter			Paris		S5	P6	J2	200
J2	Punch			Rome		S5	P1	J4	100
J3	Reader			Athens		S5	P3	J4	200
J4	Console			Athens		S5	P4	J4	800
J5	Collater			London		S5	P5	J4	400
J6	Terminal			Oslo		S5	P6	J4	500
J7	Tape			London					

მოცემულ მაგალითს საფუძვლად უდევს მარტივი მონაცემთა ბაზა, რომელიც შედგება სამი ცხრილისაგან: S ცხრილი, რომელშიც ჩაწერილია ინფორმაცია საწარმოს მიმწოდებლების შესახებ, P ცხრილი, რომელიც საწარმოს მიერ გამოყენებული ნაწილების შესახებ შეიცავს ინფორმაცია, SPJ ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებებს საწარმოს მიმწოდებლებსა და მიწოდებულ ნაწილებს მორის და J ცხრილი, რომელშიც ინახება ინფორმაცია პროექტების შესახებ. S ცხრილი პირველადი გასაღების S# სვეტი, მეორისა – P# სვეტი, მესამე – SPY ცხრილისა – კომბინაცია S#/P#, ხოლო J ცხრილისა – J# სვეტი.

ახლა განვიხილოთ მოთხოვნა: „გამოვიტანოთ იმ მომწოდებლების სახელები და ქალაქის სახელები, რომლების სულ ცოტა ერთ ათენურ პროექტს ამარავბს ნაწილებით სულ ცოტა 51 ცალით თითოეული სახეობისათვის“. რელაციურ აღრიცხვაში ამ მოთხოვნას ეწება შემდეგი სახე:

```

SX.SNAME, SX.CITY WHERE EXISTS JX FORALL PX
    EXISTS SPJX
        (JX . CITY='Athens' AND
        JX . J#=SPJX . J# AND
        PX . P#=SPJX . P# AND
        SX . S#=SPJX . S# AND
        SPYX . QTY>50)
    
```

სადაც SX, PX, JX, SPJX წარმოადგენს კორტეჯების ცვლადებს შესაბამისად S, P, J, SPJ დიაპაზონიდან.

**ბიჯი 1.** კორტეჯის ყველა ცვლადისათვის ვიპოვოთ შეზღუდვატა დიაპაზონი. ამისათვის WHERE ფრაზაში უნდა ჩავრთოთ შეზღუდვის პრედიკატი, რომელიც განსაზღვრულ კორტეჯებს გამორიცხავს შემდგომი განხილვიდან. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხება შემდეგი კორტეჯები:

SX: S-ის ყველა კორტეჯი	5 კორტეჯი
PX: P-ს ყველა კორტეჯი	5 კორტეჯი
JX: J-ის ის კორტეჯები, სადაც CITY = 'Athens' 2 კორტეჯი	
SPJX: SPJ-ის კორტეჯები, სადაც QTY = 'Athens'	24 კორტეჯი

**ბიჯი 2.** შევადგინოთ წინა ბიჯზე მიღებული ყველა დიაპაზონის დეკარტული ნამრავლი:

S#	SN	STATUS	CITY	P#	PN	COLOR	WEIGHT	CITY	J#	JN	CITY	S#	P#	J#	STY
S1	Sm	20	Lon	P!	Nt	Red	12	Lon	J3	Rd	Ath	S1	P1	J1	200
S1	Sm	20	Lon	P1	Nt	Red	12	Lon	J3	Rd	Ath	S1	P1	J4	700
.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.

სრული ნამრავლი შეიცავს  $5*6*2*24=1440$  კორტეჯს.

**ბიჯი 3.** შევზღუდოთ დეკარტის ნამრავლი ისე, რომ ავაგოთ WHERE ფრაზის შეერთების პირობით გათვალისწინებული შედეგი. ეს პირობაა:

JX . J#=SPJX . J# AND PX . P#=SPJX . P# AND SX . S#=SPJX . S#

ამით გამოვრიცხვათ ნამრავლიდან იმ კორტეჯებს რომელთათვისაც S# მიმწოდებლის სიდიდე ტოლი არაა SP# მიმწოდებლის ან P# ნაწილის სიდიდე ტოლი არაა SP# მიმწოდებლის სიდიდის ან J# პროექტის ნომერი ტოლი არაა J# მიმწოდებლის სიდიდის. ამჯერად მიიღება დეკარტის ნამრავლი, შედეგნილი უკვე მხოლოდ 10 კორტეჯისაგან.

S#	SN	STATUS	CITY	P#	PN	COLOR	WEIGHT	CITY	J#	JN	CITY	S#	P#	J#	QTY
S1	Sm	20	Lon	P!	Nt	Red	12	Lon	J4	Cn	Ath	S1	P1	J4	700
S2	Jo	10	Par	P3	Sc	Blue	17	Rom	J3	Rd	Ath	S2	P3	J3	200
S2	Jo	10	Par	P3	Sc	Blue	17	Rom	J4	Cn	Ath	S2	P3	J4	500
S4	Cl	20	Lon	P6	Cg	Red	19	Lon	J3	Rd	Ath	S4	P6	J3	300
S5	Ad	30	Ath	P2	Bt	Green	17	Par	J4	Cn	Ath	S5	P2	J4	100
S5	Ad	30	Ath	P1	Nt	Red	12	Lon	J4	Cn	Ath	S5	P1	J4	100
S5	Ad	30	Ath	P3	Sc	Blue	17	Rom	J4	Cn	Ath	S5	P3	J4	200
S5	Ad	30	Ath	P4	Sc	Red	14	Lon	J4	Cn	Ath	S5	P4	J4	800
S5	Ad	30	Ath	P5	Cm	Blue	12	Par	J4	Cn	Ath	S5	P5	J4	400
S5	Ad	30	Ath	P6	Cg	Red	19	Lon	J4	Cn	Ath	S5	P6	J4	500

**ბიჯი 4.** გამოვიყენოთ კვანტორები მარჯვნიდან მარცხნივ შემდეგნაირად:

- “Exists Rx“ კვანტორისათვის განცსაზღვროთ მიმდინარე შუალედური შედეგის პროექცია R დამოკიდებულების ყველა კორტექსის გამოსარიცხად.
- “Forall RX“ კვანტორისათვის მიმდინარე შუალედური სედეგი გავყოთ პირველ ბიჯზე მიღებული დამოკიდებულების შეზღუდვის დიაპაზონზე.
- მოცემულ მაგალითში კვანტორებია:

**EXISTS JX FORALL PX EXISTS SPJX**

აქედან გამომდინარე:

1. **SPJ . S#, SPJ . P#, SPJ . J#, SPJ . QTY** ატრიბუტების პროექციას ექნება სახე:

S#	SN	STATUS	CITY	P#	PN	COLOR	WEIGHT	CITY	J#	JN	CITY	J#	JN	J#
S1	Sm	20	Lon	P1	Nt	Red	12	Lon	J4	Cn	Ath	J4	Cn	J4
S2	Jo	10	Par	P3	Sc	Blue	17	Rom	J3	Rd	Ath	J3	Rd	J3
S2	Jo	10	Par	P3	Sc	Blue	17	Rom	J4	Cn	Ath	J4	Cn	J4
S4	Cl	20	Lon	P6	Cg	Red	19	Lon	J3	Rd	Ath	J3	Rd	J3
S5	Ad	30	Ath	P2	Bt	Green	17	Par	J4	Cn	Ath	J4	Cn	J4
S5	Ad	30	Ath	P1	Nt	Red	12	Lon	J4	Cn	Ath	J4	Cn	J4
S5	Ad	30	Ath	P3	Sc	Blue	17	Rom	J4	Cn	Ath	J4	Cn	J4
S5	Ad	30	Ath	P4	Sc	Red	14	Lon	J4	Cn	Ath	J4	Cn	J4
S5	Ad	30	Ath	P5	Cm	Blue	12	Par	J4	Cn	Ath	J4	Cn	J4
S5	Ad	30	Ath	P6	Cg	Red	19	Lon	J4	Cn	Ath	J4	Cn	J4

2. P დამიკიდებულებაზე გაფოფას ექნება შემდეგი სახე:

S#	SN	STATUS	CITY	J#	JN	CITY
S5	Ad	30	Ath	J4	Cn	ATH

ახლა ეს უკანასკნელი დამოკიდებულება ვაჩვენოთ სრულად:

S#	SNAME	STATUS	CITY	J#	JNAME	CITY
S5	Adams	30	Athens	J4	Console	Athens

3. მოვახდინოთ **J#, JNAME, CITY** ატრიბუტების პროექცია:

S#	SNAME	STATUS	CITY
S5	Adams	30	Athens

ბიჯი 5. განვიხილოთ მეოთხე ბიჯის შედეგების პროექცია მიზნობრივი სის სპეციფიკაციების შესაბამისად. მიზნობრივ სის აქვს სახე:

**SX . SNAME, SX . CITY**

ამრიგად საბოლოო შედეგს ექნება შემდეგი სახე:

SNAME	CITY
Adams	Athens

### **3. დასკვნა**

აღნიშნული ალგორითმი უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზების ნებისმიერი ენის რეალციურ სისრულეს. რელაციური სისრულის ქვეშ იგულისხმება მონაცემთა ბაზების ენებში მონაცემთა ამორჩევისა და მათი გამოსახვის საშუალებათა შესაძლო სიმძლავრე.

ამასთან, რადგანაც ალგებრა რელაციურად სრულია, იმის საჩვენებლად, რომ ნებისმიერი მოცემული  $L$  ენაც სრულია, საჭიროა ვაჩვენოთ, რომ  $L$  მოიცავს ყოველი ალგებრული ოპერაციის ანალოგს. რელაციურად სრული ენის მაგალითებია QUEL და SQL.

მოცემული ალგორითმით ჩვენ ვაჩვენეთ, რომ აღრიცხვის ნებისმიერი გამოსახულება შეიძლება დაყვანილ იქნას მის ალგებრულ ეკვივალენტზე და აქედან გამომდინარე, აღრიცხვა ისეთივე მძლავრი ხდება როგორც აღრიცხვაა.

### **4. ლიტერატურა**

1. Codd E.F. Relational Completeness of Data Base Sublanguages. In Data Base Systems: Courant Computer Science Symposia Series, Vol.6. Englewood Cliffs, N.J. : PrenticeHall, 1972.

2. Pirotte A., Wodon P. A comprehensive Formal Query Language for a Relational Data Base. R.A.I. R.O. Informatique / Computer Science 11, No. 2, 1997.

## **АЛГОРИТМ РЕДУКЦИИ ДЛЯ ОБЕСПЕЧЕНИЯ РЕЛЯЦИОННОЙ ПОЛНОТЫ ЯЗЫКОВ БАЗ ДАННЫХ.**

Кобиашвили А., Гварамиа Э.  
Грузинский Техниузинский Университет

### **Резюме**

Предложен алгоритм, позволяющий произвольное выражение реляционного исчисления, приводить к семантически эквивалентному выражению реляционной алгебры. Представлен пример, иллюстрирующий данный алгоритм. Показано преимущество данного алгоритма.

## **A REDUCTION ALGORITHM GUARANTEEING RELATIONAL COMPLETENESS OF DATABASE LANGUAGES.**

Kobiashvili A., Gvaramia E.  
Georgian Technical University

### **Summary**

A reduction algorithm by which an arbitrary expression of the relational calculus can be reduced to a semantically equivalent expression of the relational algebra is offered. The example illustrating this algorithm is presented. The advantage of this algorithm is shown.